მეორე ათასეული დაიწყო...

თბილისი. “ბურევესტნიკის” სტადიონი. 15 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) _ “სპარტაკი” (მოსკოვი) 2:1 (1:1).

“სპარტაკი”: ივაკინი, სოლდატოვი, კორნეევი, კრუტიკოვი, ჩისტიაკოვი, ივანოვი, კორშუნოვი, პეტროვი, სევიდოვი, ფილინი, ილინი (ადამოვი).

“დინამო”: ლეჟავა, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, ხელაძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე (გ. სიჭინავა), დათუნაშვილი.

მსაჯი ა. ალოვი (ლენინგრადი).

გუშინდელი მატჩის მნიშვნელობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მოსკოვის “სპარტაკი” თავისი განახლებული შემადგენლობით პირველი ადგილისათვის იბრძვის და ამიტომ თითეული ქულა მისთვის გადამწყვეტია, ხოლო რაც შეეხება ჩვენს გუნდს, იგი უკიდურესი კრიზისის მდგომარეობაში იმყოფებოდა. დინამოელთა ადგილი გათამაშების ცხრილში ლაკონიურად ასე შეიძლება გამოიხატოს: არც ერთი ნაბიჯი უკან.

ამ წმინდა “მატერიალურმა” დაინტერესებამ ორივე გუნდის მხრივ, გარკვეული დაღი დაამჩნია მატჩს. იგი საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა, მაგრამ მოთამაშეთა ნერვიულობა ხშირად იჩენდა თავს უხეშობაში და ამ მხრივ პირველი საყვედურის ღირსნი მოსკოველები არიან, რომლებიც მსაჯის ზურგს უკანაც ცდილობდნენ წესებით აკრძალული “ფსიქოლოგიური ზეგავლენა” მოეხდინათ მოწინააღმდეგეებზე.

სპარტაკელთა კოლექტივი სადღეისოდ მეტად ძლიერი ძალაა. გუნდს ჰყავს აქტიური, აგრესიული ნახევარდაცვა, მონოლითური დაცვა და საუკეთესოდ შეთამაშებული თავდასხმა. მათი ყოველი შეტევა მეტად სახიფათოა, განსაკუთრებით მარჯვენა ფლანგიდან. აქ წამყვან ძალას წარმოადგენს სწრაფი, მაღალტექნიკური გარემარბი კორშუნოვი, რომელსაც საუცხოო დრიბლინგი და მოულოდნელი გარღვევები აქვს. ამიტომ იყო, რომ მოსკოველები თავიანთ იერიშებს ძირითადად მარჯვენა ფლანგიდან აწარმოებდნენ, ხოლო ცენტრში გაჰყავდათ ასევე ძლიერი ფორვარდი სევიდოვი.

თბილისელთა დაცვა ძნელი ამოცანის წინაშე იმყოფებოდა. მოწინააღმდეგის თითოეული კომბინაცია, ყველა საიერიშო ოპერაცია უკიდურესი სიზუსტით ხორციელდებოდა, ამასთან “სპარტაკის” ხუთივე ფორვარდი მაღალი კლასის ფეხბურთელია, ეს იყო მძიმე ბრძოლა, სადაც ჩვენი გუნდის უკანა ხაზების მოთამაშეებმა საუკეთესო თვისებები გამოავლინეს. უწინ არაერთხელ ყოფილა, რომ ასეთ მძიმე სიტუაციაში თბილისის “დინამოს” დაცვა იბნეოდა, შეცდომას შეცდომაზე უშვებდა და ზოგჯერ დეზორგანიზაციამდეც მიდიოდა. გუშინდელ მატჩში ეს არ მომხდარა და დაცვის ასეთი სტაბილურობა სასიხარულო მოვლენაა.

გაცილებით უკეთ, ვიდრე წინა მატჩებში, ითამაშა თავდასხმამაც, სადაც თავისი ადგილი დაიკავა მარჯვენა შუამარბმა ბარქაიამ. მისი კომბინაციური ალღო და ინდივიდუალური თამაშის ხარისხი შესამჩნევად დაეტყო გუნდს: გადაცემებს მიეცა საჭირო სიზუსტე, ურთიერთობა ფლანგსა და ცენტრს შორის შესამჩნევად მოწესრიგდა და სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ საერთო ანსამბლს ხშირად ეთიშებოდა იამანიძე. ჩვენი გუნდის კაპიტანი, კვლავ გაუთავებლად ატარებდა ბურთს, აგვიანებდა გადაცემებს და საქმე იქამდეც მივიდა, რომ საჭირო შეიქნა მისი შეცვლა. რა თქმა უნდა, გ. სიჭინავას შემოსვლის შემდეგ დინამოელთა თამაშს მეტი მთლიანობა მიეცა.

ანგარიში მე-11 წუთზე გახსნა ბარქაიამ. მან რთულ ვითარებაში მიიღო ბურთი, ოსტატურად დაამუშავა იგი და ზუსტად გაგზავნა ბადეში _ 1:0. ამ დროისათვის დინამოელებს დიდი უპირატესობით მიჰყავდათ თამაში, მაგრამ “სპარტაკმა” რამდენიმე წუთში შეძლო მდგომარეობის შეცვლა, გადავიდა კონტრიერიშზე და გაქვითა კიდეც გოლი: ფალინმა ზედ ხაზზე მიუსწრო ბურთს, გადასცა იგი პეტროვს და ამ უკანასკნელმა ახლო მანძილიდან გაიტანა საპასუხო ბურთი _ 1:1.

სპარტაკელები ტაიმის დასასრულამდე ფლობდნენ ინიციატივას, მაგრამ სწორედ ბოლო წუთებზე მათი კარი ორჯერ იყო აშკარა ხიფათის წინაშე. ივაკინმა ჯერ მეტად ძნელი ბურთი აიღო ბარქაიასაგან,

ხოლო შემდეგ კალოევისაგანაც, თუმცა ამ მომენტში იგი ერთობ საეჭვო პოზიციაში იმყოფებოდა კარის ხაზს იქით.

საუკეთესო კომბინაცია გაითამაშეს დინამოელებმა მეორე ტაიმის მე-13 წუთზე. იგი დაიწყო გ. სიჭინავამ და საბოლოოდ ბურთი მარცხენა ფრთაზე აღმოჩნდა დათუნაშვილთან. მარცხენა გარემარბის უძლიერესი დარტყმა შორეულ კუთხეში მოხვდა ძელს. რამდენიმე წუთის შემდეგ იმავე სიჭინავამ ცენტრში მიიღო ბურთი და კარში დაარტყა. ივაკინმა მოასწრო ნახტომის გაკეთება, მაგრამ ვერ გააჩერა ხელში ბურთი. ბურთს ამ მომენტში მიუსწრო ბარქაიამ და დაუყოვნებლივ გაგზავნა ზუსტი მისამართით _ 2:1.

ამ გოლის შემდეგ მოსკოველები თითქმის განუწყვეტლივ უტევდნენ მასპინძელთა კარს. "დინამო" ზოგჯერ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა და თავდასხმა იძულებული ხდებოდა მთელი შემადგენლობით ჩამოსულიყო თავის საჯარიმო მოედანზე. მაგრამ ყველა ეს იერიში მშვიდობიანად იქნა მოგერიებული და თბილისელებმა შეძლეს ამ მეტად მნიშვნელოვანი, დამსახურებული გამარჯვების შენარჩუნება _ 2:1.

აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში ვ. ბარქაიას მიერ გატანილი პირველი გოლი საიუბილეოა თბილისის "დინამოსათვის". სსრ კავშირის პირველობებზე ესაა მეათასე ბურთი. მანვე გახსნა მეორე ათასეულის ანგარიში. როგორც იტყვიან "ეს ერთი და სხვა ათასი"...

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა მატჩიც თბილისელთა გამარჯვებით დამთავრდა _ 2:1.

ბ. ქორქია.
"ლელო" 16 ივნისი, 1962 წ.